დროებითი ემიგრაცია: ვის და რატომ სურს საქართველოდან წასვლა?

მარიამ მახარაშვილი

(კავკასიის უნივერსიტეტი, სოციოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი)

ემიგრაცია თანამედროვე საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ცნობით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოვებით 1.5 მილიონი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს, [1]თუმცა არალეგალური მიგრანტების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ეს ემიგრაციის პრობლემას კიდევ უფრო ართულებს, რადგანაც გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს.

საგულისხმოა, ისიც, რომ 2024 წელს ჩატარებული კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვის შედეგად, კითხვაზე, ყავდა თუ არა რესპონდენტს ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად საქართველოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობდა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, 58%[2] დადებითად პასუხობს.

ასევე მაღალია იმ ადამიანების წილი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დროებითი ემიგრაციით. კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 45% აცხადებს, რომ შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, წავიდოდა საქართველოდან, რათა გარკეული დროის მანძილზე სხვა ქვეყანაში ეცხოვრა.



[1] *https://globalnews.ge/en/georgia/1193?*

[2] *https://caucasusbarometer.org/en/cb2024ge/codebook/*

მონაცემთა ანალიზი გვიჩვნებს, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები უფრო მეტად განიხილავენ დროებით ემიგრაციას.

შესაძლებლობა რომ გქონდეთ, წახვიდოდით თუ არა საქართველოდან, რათა გარკვეული დროის მანძილზე სხვა ქვეყანაში იცხოვროთ?
(პროგნოზირებული ალბათობები)



დემოგრაფიული მახასიათებლებიდან იკვეთება, რომ ასაკი და განათლება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დროებითი ემიგრაციის სურვილთან.

ახალგაზრდები (18–34 წელი) სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებთან შედარებით, მეტად გამოთქვამენ დროებითი ემიგრაციიის სურვილს. საშუალო ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფთან შედარებით (35-54) მათ 19 პროცენტული პუნქტით, ხოლო უფრო ასაკოვან (55+) ჯგუფთან შედარებით - 45 პროცენტული პუნქტით მეტად სურთ დროებითი ემიგრაცია.

ის ადამიანები, რომლებსაც საშუალო ტექნიკური განათლება აქვთ მიღებული 12 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად ინტერესდებიან ემიგრაციით, ვიდრე ისინი, რომელთა განათლების დონეც საშუალო ან საშუალოზე დაბალია.

დემოგრაფიული ფაქტორების გარდა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი იკვეთება პარტიულობასა და დროებითი ემიგრაციის სურვილს შორის. ქართული ოცნების მხარდამჭერებთან შედარებით, ოპოზიციის მხარდამჭერებს 20 პროცენტული ფუნქტით უფრო მეტად სურთ დროებით ემიგრაციაში წასვლა.

საინტერესოა, რომ დროებითი ემიგრაციის სურველზე ადამინების მიერ სამართლიანობის აღქმაც მოქმდებეს.

დროებითი ემიგრაციის სურვილი უფრო მაღალია მათ შორის, ვინც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა მათნაირ ადამიანებს სამართლიანად ექცევა. ასეთ რესპონდენტებს 7 პროცენტული პუნქტით მეტი ალბათობა აქვთ განაცხადონ, რომ წავიდოდნენ დროებით ქვეყნიდან, მათთან შედარებით, ვინც ფიქრობს, რომ მთავრობა სამართლიანად მოქმედებს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დროებითი ემიგრაციის სურვილი საქართველოში განსაკუთრებით იმ ჯგუფებში იჩენს თავს, რომლებიც აქტიურად ეძებენ განვითარების შესაძლებლობებს - ახალგაზრდები, უფრო განათლებული ადამიანები და ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის შიგნით სამართლიანობის ნაკლებობაა.

ეს ანალიზი ეფუძნება ბინარულ ლოგისტიკურ რეგრესიას, სადაც დამოკიდებული ცვლადია „შესაძლებლობა რომ გქონდეთ, წახვიდოდით თუ არა საქართველოდან, რათა გარკვეული დროის მანძილზე სხვა ქვეყანაში იცხოვროთ?“ ორი პასუხის ვარიანტით: დიახ, არა. დამოუკიდებელი ცვლადები მოიცავს სქესს, ასაკს, დასახლების ტიპს, განათლებას, ეთნიკურ კუთვნილებას, დასაქმებას, ოჯახის ნივთების ქონის ინდექსს, პარტიულობას და რამდენად სამართლიანად ექცევა მთავრობა თქვენნაირ ადამიანებს.

მიღებული შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 95%-იან სანდოობის დონეზე ($p<0.05$).

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობისთვის“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოს ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ოფიციალურ პოზიციას.